

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

ორგანიზაციის დასახელება: შპს ჯეოთოვინგი

საიდენტიფიკაციო კოდი: 445517049

საანგარიშგებო პერიოდი - 2020 წელი

| აქტივები                                                  |          |                |                  |                  |
|-----------------------------------------------------------|----------|----------------|------------------|------------------|
|                                                           | შენიშვნა | 2020           | 2019             | 2018             |
| ფულადი სახსრები                                           | 8        | 136 041        | 402 988          | 265 219          |
| სავაჭრო მოთხოვნები                                        | 9        | 97 172         | 134 422          | 115 335          |
| გაცემული ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი მარაგი |          | 5 230          | 9 660            | 29 007           |
|                                                           |          | <b>12 737</b>  | <b>46 306</b>    | <b>37 760</b>    |
| - მზა პროდუქცია                                           |          | -              | -                | -                |
| - სხვა - წედლეული                                         |          | 12 737         | 46 306           | 37 760           |
| სხვა მიმდინარე აქტივები                                   |          | -              | -                | -                |
| ბიოლოგიური აქტივები                                       |          | -              | -                | -                |
| - თვითღირებულების მოდელით                                 |          | -              | -                | -                |
| - გადაფასების მოდელით                                     |          | -              | -                | -                |
| ძირითადი საშუალებები                                      | 10       | <b>370 378</b> | <b>1 364 222</b> | <b>1 517 494</b> |
| - მიწა                                                    |          | -              | -                | -                |
| - შენობა-ნაგებობა                                         |          | -              | -                | -                |
| - სხვა ძირითადი საშუალებები                               |          | 370 378        | 1 364 222        | 1 517 494        |
| - არამატერიალური აქტივები                                 |          | -              | -                | -                |
| - საიჯარო აქტივები, საკუთრების გადაცემის პირობით          |          | -              | -                | -                |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტში         |          | -              | -                | -                |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები                                |          | -              | -                | -                |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები                              |          | -              | -                | -                |
| კაპიტალი (გაუნაღდებელი ნაწილი)                            |          | -              | -                | -                |
| <b>სულ აქტივები</b>                                       |          | <b>621 558</b> | <b>1 957 598</b> | <b>1 964 815</b> |


| საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები            |          |                |                  |                  |
|-----------------------------------------------|----------|----------------|------------------|------------------|
| ვალდებულებები                                 | შენიშვნა | 2020           | 2019             | 2018             |
| სავაჭრო ვალდებულებები                         |          | 23 465         | 24 208           | 3 362            |
| ანარიცხები                                    |          | -              | -                | -                |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ            |          | -              | -                | 44               |
| საგადასახადო ვალდებულებები                    |          | 1 129          | 2 327            | 17 112           |
| დარიცხული ხარჯები და გადავადებული შემოსავალი  |          | -              | -                | -                |
| მესაკუთრეებისაგან ნასესხები სახსრები          |          | -              | -                | -                |
| ბანკებისაგან ნასესხები სახსრები               |          | -              | -                | -                |
| სხვა ნასესხები სახსრები                       |          | -              | -                | -                |
| სხვა ვალდებულებები                            |          | -              | 26 198           | 26 198           |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                      |          | <b>24 594</b>  | <b>52 733</b>    | <b>46 716</b>    |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                      |          |                |                  |                  |
| სააქციო კაპიტალი                              | 13       | -              | 451 911          | 491 911          |
| გაუნაწილებელი მოგება/ზარალი                   |          | 596 964        | 1 452 954        | 1 426 188        |
| გადაფასების რეზერვი                           |          | -              | -                | -                |
| სხვა კაპიტალი                                 |          | -              | -                | -                |
| <b>სულ კაპიტალი</b>                           |          | <b>596 964</b> | <b>1 904 865</b> | <b>1 918 099</b> |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b> |          | <b>621 558</b> | <b>1 957 598</b> | <b>1 964 815</b> |

იაგო მგელაძე

დირექტორი:

ფატიმა ბერიძე

მთ. ბუღალტერი:



შემოსავლის, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

|                                |          | 2020      | 2019      | 2018      |
|--------------------------------|----------|-----------|-----------|-----------|
| ნეტო ამონაგები                 | შენიშვნა | 3 133 541 | 1 217 491 | 2 401 795 |
| - საქონლის გაყიდვიდან          |          | -         | -         | -         |
| - მომსახურების გაწევიდან       | 5        | 778 515   | 1 137 170 | 2 401 028 |
| - სამშენებლო ხელშეკრულებებიდან |          |           |           |           |
| - სხვა                         |          | 2 355 026 | 80 321    | 767       |

|                                   |  |          |           |           |
|-----------------------------------|--|----------|-----------|-----------|
| რეალიზებული პროდუქციის ღირებულება |  | (59 666) | (107 940) | (85 568)  |
| - საწყისი მარაგი                  |  | (46 305) | (37 760)  | (16 863)  |
| - შესყიდვა                        |  | (26 098) | (116 485) | (106 465) |
| - გადამუშავების დანახარჯები       |  |          |           |           |
| - საბოლოო მარაგი                  |  | 12 737   | 46 305    | 37 760    |

|               |  |           |           |           |
|---------------|--|-----------|-----------|-----------|
| საერთო მოგება |  | 3 073 875 | 1 109 551 | 2 316 227 |
|---------------|--|-----------|-----------|-----------|

|                              |   |             |           |           |
|------------------------------|---|-------------|-----------|-----------|
| სხვა შემოსავალი              |   | -           | -         | -         |
| დასაქმებულთა ანაზღაურება     | 6 | (319 313)   | (440 901) | (559 840) |
| ცვეთა/ამორტიზაცია            |   | (85 823)    | (157 130) | (129 046) |
| გაუფასურების ხარჯი           |   |             |           | -         |
| - ფინანსური აქტივები         |   |             |           |           |
| - მარაგები                   |   |             |           |           |
| - სხვა არაფინანსური აქტივები |   |             |           |           |
| საპროცენტო შემოსავალი        |   |             | -         | -         |
| საპროცენტო ხარჯი             |   | -           | -         | -         |
| სხვა ხარჯები                 | 7 | (1 682 139) | (484 754) | (393 261) |

|                                      |  |         |        |           |
|--------------------------------------|--|---------|--------|-----------|
| მოგება, მოგების გადასახადის ხარჯამდე |  | 986 600 | 26 766 | 1 234 080 |
| მოგების გადასახადი                   |  |         |        | -         |

|                                      |  |         |        |           |
|--------------------------------------|--|---------|--------|-----------|
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი |  | 986 600 | 26 766 | 1 234 080 |
|--------------------------------------|--|---------|--------|-----------|

|                                                                              |  |           |           |            |
|------------------------------------------------------------------------------|--|-----------|-----------|------------|
| საწყისი გაუნაწილებელი მოგება: გადაანგარიშებული                               |  | 1 452 954 | 1 426 188 | 192 108    |
| - საწყისი გაუნაწილებელი მოგება გადაანგარიშებამდე (გასული წლის საბოლოო ნაშთი) |  | 1 452 954 | 1 426 188 | 192 108,00 |
| - გასული პერიოდის შეცდომის გასწორების გავენა                                 |  | -         |           |            |
| - გასული პერიოდის საადრიცხვი პოლიტიკის გავლენა                               |  |           |           |            |

|                                                                                          |  |             |  |  |
|------------------------------------------------------------------------------------------|--|-------------|--|--|
| ბიოლოგიური აქტივის გასვლისას, გადაფასების რეზერვის ნაშთის გადატანა გაუნაწილებელ მოგებაში |  |             |  |  |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)                                           |  | (1 842 590) |  |  |

|                                     |  |         |           |           |
|-------------------------------------|--|---------|-----------|-----------|
| გაუნაწილებელი მოგების საბოლოო ნაშთი |  | 596 964 | 1 452 954 | 1 426 188 |
|-------------------------------------|--|---------|-----------|-----------|

იაგო მგელაძე

დირექტორი:

ფატიმა ბერიძე



ფულადი სახსრების მოძრაობა

2020 წელი 31 დეკემბერ 2019 წელი 31 დეკემბერ

ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან

მოგება/ზარალი დაბეგრამდე

986 600

26 766

კორექტირებები:

ცვეთა და მორტიზაცია

85 823

157 130

მოგება/ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში

ცვლილებამდე

1 072 423,00

183 896,00

კლება/ზრდა:

ცვლილებები მარაგში

33 569

(8 546)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

37 250

(19 087)

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

(743)

20 802

ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ

-

-

საგადასახადო აქტივი

4 430

19 347

საგადასახადო ვალდებულება

(1 198)

(14 785)

მოგების და საშემოსავლო გადასახადი

(276 388)

-

აენსები

(26 198)

-

წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან

843 145

181 627

ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან

ძირითადი საშუალების შეძენა

(4 559)

(3 858)

ძირითადი საშუალების გაყიდვა

1 147 655

მიმდინარე აქტივები

41 312

-

კაპიტალის შემცირება

(451 911)

(40 000)

გაცემული/მიღებული დივიდენდი

(1 842 589,00)

-

წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან

(1 110 092)

(43 858)

ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან

მიღებული სესხები

-

-

გაცემული სესხები

-

-

ფინანსური ოპერაციიდან მიღებული სხვა შემოსავალი

-

-

წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან

-

-

წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში

(266 947)

137 769

სავალუტო კურსის ეფექტი

ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში

402 988

265 219

ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს

136 041

402 988

(266 947)

137 769

იაგო მგელაძე

დირექტორი:

ფატიმა ბერიძე

მთ. ბუღალტერი:



*Handwritten signature in blue ink.*

შპს ჯეოთოვინგი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

შპს „ჯეოთოვინგი“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერი

შპს ჯეოთოვინგი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

## 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჯეოთოვინგი“ (შემდგომში - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში. რეგისტრაციის თარიღი: 02/10/2017. საიდენტიფიკაციო ნომერი 445517049.

კომპანიის ძირითად საქმიანობის სფეროს წარმოადგენს: საზღვაო მომსახურება საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ.; ფლობს ბუქსირმზიდს.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ბათუმი, ზ. გამსახურდიას ქ. / ჭავჭავაძის ქ., №49/4, ბ. №9

ელ. ფოსტა: i.mgeladze@hotmail.com

2020 წლის 1 იანვრისა და 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის:

-50%-იანი წილის მფლობელია: იაგო მგელაძე;

-50%-იანი წილის მფლობელია: როლანდ ზოიძე;

კომპანიის დირექტორია იაგო მგელაძე.

კომპანიის სტატუსია: ფუნქციონირებადი.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 451 911,00 ლარს, 2020 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 0,00 ლარს.

2019 წლის 31 დეკემბრისათვის თანამშრომლების რაოდენობა არის 13 ადამიანი, 2020 წლის 31 დეკემბრისათვის თანამშრომლების რაოდენობა არის 17 ადამიანი.

## 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს სტანდარტი და ინტერპრეტაციების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ერთ საწარმოს.

### ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. როიალტის სახით მიღებული ამონაგები აღიარდება წრფივი მეთოდით, ლიცენზიის ვადის

შპს ჯეოთოვინგი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

განმავლობაში. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

#### სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

#### მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის გადახდისას გამოიყენება ესტონური მეთოდი.

#### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

| ძირითადი საშუალების<br>ჯგუფი  | სასარგებლო მომსახურების ვადა<br>(წლები) |
|-------------------------------|-----------------------------------------|
| სატრანსპორტო<br>საშუალებები   | 10-12                                   |
| საოფისე ავეჯი და<br>ინვენტარი | 5-8 წელი                                |
|                               |                                         |

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

შპს ჯეოთოვინგი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

### არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს სხვადასხვა ქონებას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ხუთ წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

### აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქვტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღ-იარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით

შპს ჯეოთოვინგი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თა-ნხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

#### იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

შპს ჯეოთოვინგი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

#### სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

#### სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

#### სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

შპს ჯეოთოვინგი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

## ბანკის სესხები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი. გადანაწილება უნდა მოხდეს 28 საპროცენტო განაკვეთით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს დისკონტირებას მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოანგარიშების დროს, საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტებიდან ფულადი ნაკადები უნდა შეაფასოს ყველა საკონტრაქტო პირობის გათვალისწინებით

## დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მომუშავეთა ხელფასების დარიცხვა ხორციელდება ყოველთვიურად, საზოგადოების ხელმძღვანელის ბრძანების საფუძველზე ან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შესაბამისად. თუ შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული არაა, ან მასში არ არის ცალსახად განსაზღვრული შრომითი ანაზღაურების სიდიდე, მაშინ ანაზღაურების დარიცხვის საფუძველს წარმოადგენს საზოგადოების ხელმძღვანელის ხელმოწერით დამტკიცებული ხელფასის უწყისი.

## ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის

ჯგუფის მიერ გაყიდულ საქონელს ახლავს გარანტია, რომ მას ერთი წლის განმავლობაში არ აღმოაჩნდება საწარმოო წუნი. საქონლის წუნის გამოსწორებას, ან გამოცვლას ჯგუფი ახორციელებს საკუთარი შეხედულებისამებრ. როდესაც

შპს ჯეოთოვინგი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

ამონაგები აღიარდება, შეიქმნება ანარიცხები საგარანტიო ვალდებულების შეფასებული სავარაუდო დანახარჯებისათვის.

### ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

### ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული მომსახურების (პროდუქციის) რეალიზაციასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ხარჯების აღიარება-ასახვა ხდება დარიცხვის მეთოდით, ამასთან, ხარჯების აღიარებისას დაცულია მიმდინარე პერიოდის ამონაგებსა და დანახარჯებს შორის შესაბამისობის პრინციპი.

ხარჯების აღრიცხვის შინაარსი - ფუნქციური დანიშნულებით.

### საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით

შპს ჯეოთოვინგი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

### შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

#### (ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

#### (ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად.

2018 წლის 31 დეკემბერს, 2019 წლის 31 დეკემბერს და 2020 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

#### საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

| პერიოდი                          | დოლარი | ევრო   |
|----------------------------------|--------|--------|
| კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის | 2,8677 | 3,2095 |
| კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის | 3,2766 | 4,0233 |

### 3. განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები

#### გასამრჯელოები ხანგრძლივი მუშაობის სტაჟისათვის

ხანგრძლივი მუშაობის სტაჟის გასამრჯელოების ვალდებულების განსაზღვრისას საწარმოს ხელმძღვანელობამ წინასწარ უნდა შეაფასოს ხელფასის ზრდა მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში, დისკონტირების განაკვეთი მომდევნო

შპს ჯეოთოვინგი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

ხუთი წლისთვის, რომელიც გამოიყენება მიმდინარე ღირებულების გაანგარიშებისათვის და ასევე მომუშავეთა რაოდენობა, რომლებიც, სავარაუდოდ, საწარმოს დატოვებენ გასამრჯელოების მიღებამდე.

• მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე.

ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას.

• სასამართლო დავები - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა.

2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია მნიშვნელოვანი სასამართლო დავები.

#### 5. შემოსავლები მომსახურების გაწევიდან

|                              | 31.12.2020   | 31.12.2019   |
|------------------------------|--------------|--------------|
| მომსახურების გაწევიდან, სულ: | 1 926 70.00  | 1 137 158.00 |
| მათ შორის:                   |              |              |
| მომსახურების გაწევიდან       | 778 515.00   | 1 137 158.00 |
| ძირი.საშ-ბის გაყიდვა         | 1 147 655.00 | -            |

#### 6. დასაქმებულთა ანაზღაურება

|                 | 2020       | 2019       |
|-----------------|------------|------------|
| სულ ანაზღაურება | 319 120.00 | 440 821.00 |
| მათ შორის:      |            |            |
| ხელფასი         | 319 120.00 | 440 821.00 |

შპს ჯეოთოვინგი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

#### 7. სხვა ხარჯები

|     | 2020         | 2019       |
|-----|--------------|------------|
| სულ | 1 682 139.00 | 484 754.00 |

#### 8. ფულადი სახსრები

|                        | 31.12.2020 | 31.12.2019 |
|------------------------|------------|------------|
|                        |            |            |
| ლარი საბანკო ანგარიშზე | 136 041.00 | 402 988.00 |
|                        |            |            |
| ჯამი                   | 136 041.00 | 402 988.00 |

#### 9. სავაჭრო მოთხოვნები

|                                    | 31.12.2020 | 31.12.2019 |
|------------------------------------|------------|------------|
|                                    |            |            |
| საქონლის გაყიდვიდან მისაღები თანხა | 97 172 .00 | 134 422.00 |
|                                    |            |            |
| ჯამი                               | 97 172.00  | 134 422.00 |

10. ძირითადი საშუალებები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

-სხვა ძირითადი საშუალებები შედგება შემდეგი დასახელებებისაგან: ოფისის აღჭურვილობა მდებარეობს ქ.ბათუმი, ჭავჭავაძე/გამსახურდია 49/4 და ტრანსპორტი ყულევის პორტი.

შპს ჯეოთოვინგი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

#### 11. სავაჭრო ვალდებულებები

|                       | 31.12.2019 | 31.12.2019 |
|-----------------------|------------|------------|
|                       |            |            |
| სავაჭრო ვალდებულებები | 23 465.00  | 24 208.00  |
|                       |            |            |
| ჯამი                  | 23 465 .00 | 24 208.00  |

#### 12. სხვა ვალდებულებები

|                    | 31.12.2020 | 31.12.2019 |
|--------------------|------------|------------|
|                    |            |            |
| სხვა ვალდებულებები | 0.00       | 26 198.00  |
|                    |            |            |
| ჯამი               | 0.00       | 26 198.00  |

#### 13. საწესდებო კაპიტალი:

საწესდებო კაპიტალი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| პარტნიორი                 | წილი | საწესდებო<br>კაპიტალი, ლარი |
|---------------------------|------|-----------------------------|
| იაგო მგელაძე, 61006002617 | 50%  | 0,00                        |
| როლანდ ზოიძე, 61006002662 | 50%  | 0,00                        |
|                           |      |                             |
| სულ                       | 100% | 0,00                        |

შპს ჯეოთოვინგი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

#### 14. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი;

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად.

ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად.

#### ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისათვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ორგანიზაციის ფინანსური მხარისთვის.

#### საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის მიერ დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები.

კომპანიის მენეჯმენტმა დააფუძნა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ყოველ ახალ კლიენტს უკეთდება ანალიზი სანამ კომპანიის სტანდარტულ გადახდის პირობებს შესთავაზებენ.

---

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის არ იყო მნიშვნელოვანი

შპს ჯეოთოვინგი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

საკრედიტო რისკის კონცენტრაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში.

საკრედიტო რისკი საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებთან მიმართებაში უმნიშვნელოა, ვინაიდან აღნიშნული ბანკები წარმოადგენენ კარგი რეპუტაციის მქონე ბანკებს.

### ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის ფუნქციონირებაზე.

ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნები.

კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება.

#### - საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გამო. კომპანია ბალანსის შედგენის თარიღისთვის არ ელოდება რაიმე სახის დანაკარგებს ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების გამო.

საბაზრო რისკი ჩნდება იმის გამო, რომ კომპანია იყენებს ფინანსურ ინსტრუმენტებს უცხოურ ვალუტაში. არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება იქნება არამყარი საპროცენტო განაკვეთის (საპროცენტო განაკვეთის რისკი) და კურსთა შორის სხვაობის გამო.

#### - საპროცენტო რისკი

---

შპს ჯეოთოვინგი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტიან სესხებთან, ცვლადი საპროცენტო განაკვეთის გამო.

#### სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიქმნება, როდესაც იცვლება ვალუტის კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში.

### 13. ბალანსის შემდგომი მოვლენები

2020 წლის 1 იანვრის შემდგომ პერიოდში არ დამდგარა ისეთი მოვლენები/გარემოება, რომელიც სხვაგვარად წარმოადგენდა 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებას ან მნიშვნელოვნად შეცვლიდა ამ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას.

იაგო მგელაძე

დირექტორი:

ფატიმა ბერიძე

ბუღალტერი:



Handwritten signature in blue ink.